თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

29 დეკემბერს | გამოცემა № 19 | კვირაობით | 1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრ.“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჯიღაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ Въ редакція „Театръ“.

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი ნახევრის წლით—სამი (3) მანეთი სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

მომავალ 1886 წლიდან აკაკი წერეთელი დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვირას, 29 დეკემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ჰამლეტი

დანიის შრინტი

ტრაგედია 5 მოქ., თხზ. ვ. შექსპირისა თარგ., ა. ფურცელაძისა.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

ჰამლეტი ქართულს სცენაზედ.

დროთა-ვითარების წყალობით ევროპიდგან გამოტყორცნილმა ცივილიზაციამ ჩვენამდისინაც მოახწია, — კაცობრიობის წალმა-უკუღმა მიმდინარეობას სამი უცვლელი კანონი აქვს, რომელიც ადრე, თუ გვიან აღსრულებაში მოვა და თავისას არ დაჰკარგავს; იგი იდუმლად მოქმედობს და ჯეროვანი ნაყოფი მოაქვს კაცობრიობისთვის, ის იმოდენად ძლიერია, რომ სუსტს კაცს არ შეუძლიან იმასთან ბრძოლა და თუ კიდეც იკისრა, გაბედა იმასთან ბრძოლა, ულეველია ფერფლათ აქცევს იმის არსებობას. ეს არის ბუნება თავის ძლიერის კანონებით, იმან აღმოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენა მშვენიერი სურათი, რომლის სრული მართველი ნიჭიერებით დაჯილდოვებული კაცია. ვინც კი კაცობრიობის ისტორიულად მიმდინარეობას ჩაჰკვირვებია, უეჭველია შეამჩნევდა, რომ წარსული კვდება, აწმყო იბადება და მომავალი ცოცხლდება, ხორციელდება, ეს ბუნებითი კანონია და თუ არ ეს შეუდრეკელი მოვლენა, კაცობრიობა ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგავს წინ; თუმცა კი ბევრჯელ ისე ხდება, რომ რამოდენიმე ხნობით ცხოვრების ჩარხი ერთს წერტილზედ ჩერდება სხვა და-სხვა მიზეზების გამო, მაგრამ ის კი ყოვლად შეუძლებელია, რომ იმის გრძნობა მოკვდეს კაცის არსებობაში, მხოლოდ დროთა ვითარებას შეუძლიან იმის დაჩაგვრა, მაგრამ სამუდამოდ კი ვერ მოჰკლავს მასში, რადგანაც ბუნება კაცს კი არ ემორჩილება, ის დაჩვეულია, რომ მას ემორჩილონ და მეტი ნაწილი ეგრეცა ხდება. ზოგჯერ სრულიად სუსტდება იგი და მაშინვე იწყობა კაცობრიობის გონებითი რეგრესიულად მიმდინარეობა, ხან ერთბაშად იღვიძებ და რეგრესი ნეტარს პროგრესად იცვლება, რომელიც გამალებული მიელტვის წინ სრულს განვითარებამდის; სადაც გონებითი განვითარებული საზოგადოებაა, ცხოვრების სიტკბოებაც იქ უნდა ვეძებოთ და სადაც ხალხი გონებით დაცემულია, იქ არ შეუძლიანთ პატიოსნებას ფასი დასდონ, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც დღე ღამეზედ ნათელია. ამის მიზეზი სამი უმთავრესი მოვლენანი არიან, რომელზედაც მთელი კაცობრიობის ბედი და უბედობაა დამოკიდებული: პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მდგომარეობანი მთელის ხალხის და აგრეთვე თვითეულის ინდივიდუმისა.

აი მაგალითად ავიღოთ დასავლეთი ევროპა, ისტორიულად ამ რვა ან ცხრა საუკუნეს წინად, რომელსაც დღეს გონებით ვანვითარებით პირველი ადგილი უჭირავს მთელს კაცობრიობაში. რას აკეთებდა მთელი თექვსმეტი საუკუნე?—რატომ არ შეეძლო იმისთანავე გენიალური პირნი დაებადნა, როგორნიც მეთექვსმეტე საუკუნემ დაჰბადა?—ამის მიზეზნი ბევრნი არიან, მაგრამ ერთი უმთავრესთაგანი სოციალურური მდგომარეობაა, ურომლოთაც ცივილიზაციას წინ წასვლა არ შეუძლიან. ცივილიზაციას ისეთი დამოკიდებულება აქვს სოციალურს მდგომარეობასთან, როგორც მონას თავის ბატონთან; მაგრამ აღკრძალული ხილი უფრო გემრიელია, იგი უფრო მეტს ენერგიას, ძალ-ღონეს და მესხიერებას იდგამს, რომლის საშუალებითაც ადრე, თუ გვიან თავის პირ-და-პირ დანიშნულებას ასრულებს. დიახ, როდესაც დასავლეთს ევროპაში კერპ-თაყვანის მცემლები შეიმუსვრენ, გაიგეს თავიანთი დანიშნულებანი, გადაეცა ადრეულეს წარსული ცხოვრება კაცობრიობისა, მხოლოდ მაშინ გამოიღვიძეს, მოჰკიდეს ხელი ჭეშმარიტებას, აი მაშინ, მხოლოდ მაშინ იცნეს, რა არის ბუნება და იმისი კანონები, რომლის შედეგი ყოველთვის ცივილიზაციის აღდგინებაა. მეთექვსმეტე საუკუნე ერთი უკეთესთაგანი ეპოქაა, არამც თუ მარტო დასავლეთ ევროპიისათვის, არამედ მთელის კაცობრიობისთვისაც, რადგანაც მაშინდელის ნაყოფიერებით მთელი აწმყო საზოგადოება სარგებლობს და აგრეთვე მომავლისთვისაც დიდი ნუგეშია, ესე იგი, ვიდრემდის ქვეყნიერება არსებობს, მეთექვსმეტე საუკუნეს ეპოქაც იმისთანა მოგზაური იქნება, რომელსაც უფრო დიდს და ფართო ადგილს მისცემენ, ვიდრე ჩვენი თანამედროვე დამფასებლები. ეს არის ეპოქა გენიოსის შექსპირისა, რომელმაც თავის ფილოსოფიურის დრამატიულის სწავლით მთელი კაცობრიობა გადაახალისა და ხელ-ახლად დაჰბადა, რომლის ქადაგება ეხება, არამც თუ კაცობრიობის რომელსამე ნაწილს, არამედ მთელს ხმელეთს და კაცობრიობას, მხოლოდ იმან შეიძლო სრულიად კაცის ბუნების გამოცნობა, რომელიც მთელმა თექვსმეტმა საუკუნემ ვერ გამოიკვლია ის საიდუმლონი, ურომლოთაც კაცს არ შეუძლიან სთქვას, რომ მეც კაცი ვარ და ქვეყანაზე ვსცხოვრებო. იგი გვისხნის კაცის გულს, რომლის სიღრმოებაშიაც ყოველივე ბუნებითს გრძნობათ ვკითხულობთ, კაცის ზნეობითს სიმაღლეს, გმირობას, თავისუფალს გრძნობას, ამპარტავნებას, ვნებათა ღელვას, სინიდისს, ჭეშმარიტებას, კეთილს და სხვა,—ერთი სიტყვით შენ თვალწინა ხედავ ისეთს პირთ, რომლებსაც შენს გულს უსხნი, მეგობრულად უყურებ და მზადა ხარ სიცოცხლე მოისპო, რომ შენ, მოკლე ჭკუის კაცს, არ შეგიძლიან იმისთანავე გრძნობებით აივსო ცარიელი გული, როგორათაც ისინი არიან სავსენი,—ეს ყოველივე მოვლენანი ჩვენთვის მეცხრამეტე საუკუნეში მხოლოდ ოცნებაა და იქნება მხოლოდ მომავალთ შეიძლონ ამათ სულ-გრძელობას დაუახლოვდენ. ამ გვარნი პირნი თავის დღეში მომავალს არ დაჰკარგავენ. აი მაგალითად ავიღოთ ჰამლეტი, რომელიც მთელ იმის თხზულებებში გმირია; ეს არის მეტად ინტელიგენტნი კაცი, რომელმაც სრულიად იცის თავის თანამედროვე საზოგადოება; ამ პირში ორი უკიდურესობაა: ერთს დროს თქვენ იმას ხედავთ ნაზის გრძნობებით მოცულს, როგორათაც თექვსმეტი წლის უმანკო ქალი, ხან სრულიად ჩულიერით იქცევა და ზოგჯერ კი, როგორათაც გმირი, რომელიც ებრძოლება მთელს კაცობრიობას, რომ სრულიად შეუცვალოს დაცემული ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობა, იგი დროთა ვითარების წყალობით გარემოებას ემორჩილება, რომ თავის აზრები განახორციელოს, იგი ირონიულად დასცინის კაცობრიობას, ითმენს იმ დრომდე, ვიდრემდის მოსათმენია და ბოლოს, როდესაც მოთმინების ჯაჭვი წყდება, იჩენს თავის ძალას, ღონეს, გამბედაობას, თავის აზრს ახორციელებს და მოწინააღმდეგეთ სამაგიეროს უხდის, თუმცა თვითონაც იმის მსხვერპლი ხდება; მაგრამ ის მსხვერპლი წმინდაა, როდესაც საუკუნოდ მნიშვნელობას არა ჰკარგავს მთელს განვითარებულს კაცობრიობაში. Dიახ, ჰამლეტი წარმომადგენელია მთელის კაცობრიობისა, როგორც ვილიამ შექსპირი მთელი ფილოსოფიური დრამატიული თხზულებებისა მით უფრო შესანიშნავია ფილოსოფიური დრამატიული მეცნიერი ვილიამ შექსპირი, რომ ყოველივე ის ბუნებითი საიდუმლოებანი, რომელსაც ეხლა ჩვენი თანამედროვე მეცნიერნი იკვლევენ ფილოსოფიურს ტრაქტატებში, იმას ცოცხლად და ნათლად ტრაგედიებში აქვს დახატული; რომელს მეცნიერების სფერას აიღებთ, რომ იქ არ იყოს დახატული, მაგალითად: ფსიხოლოგია, ფიზიკა, ანატომია, ანტროპოლოგია, ფილოსოფია, ასტრონომია და სხვა-და-სხვა. ყოველივე მეცნიერების მხარენი მეტად ხელოვნურად არიან დახატულნი. როგორათაც ამ თხზულებებში შეხვდებით ხელოვნურად დახატულს კაცს, რომელიც ყოველივე პატიოსნურის ღირსებებით სავსეა, აგრეთვე იმოდენადვე ხელოვნურად და ცოცხლად გვიხატავს რომელიმე სფერის ზნეობით დაცემულს პირს. რამოდენათაც პირველი შეგიყვარდება და პატივსა სცემ, იმის ტანჯვებით მაცქერალიც იმჭვალები, აგრეთვე იმის ცქერით ჰღელდები, მძულვარებით უყურებ, რომლის მოქმედება სიმდაბლეზედ უუმდაბლესია. აი, მაგალითად ჰამლეტი ავიღოთ, რომელშიაც სხვა-და-სხვა თვისებების ტიპნი არიან დახატულნი, რომლების შუაშიაც შურის ძიება იბადება და ერთი მეორეზედ წინააღმდეგად მოქმედობს. რამოდენათაც ჰამლეტი ნამდვილი კაცობრიობის ღირსებებით არის დაჯილდოებული, იმოდენადვე სიმდაბლით იმის ბიძაა (მეფე) სავსე, რომელსაც მოშურნეობა, ენებათა ღელვა, დიდების მოპოვება თავის ღვიძლს ძმას აწამლვინებს და ამის შემდეგ სამეფო ტახტს პოულობს...

ი. ჯაფეთელი.

(გაგრძელება იქნება)

ფელტონი

ვუძღვნი N...ს.

ქურთხეულ იქმნეს ის დღე, ის წამი,
რომელ წამშიაც შენ დაგინახე;
გულს გამსჭვალულსა უიმედობით
ბედის ვარსკვლავად რომ დამესახე,
გმადლობ ამ გულში, რომ განაღვიძე
წარსულთა წელთა იმედოვნება,
რომ დამანახვე ჩვენი სიცოცხლე
არ არს უმიზნო ამაოება.

—

გმადლობ გრძნობები რომ გამიშმაგე,
სისხლი აღძარი, აამღელვარე;
რომ გზა მიჩვენე კიდევ ცხოვრების,
როგორც მოგზაურს ღამეში მთვარე.
გმადლობ ამ გულში კვლავ, რომ აანთე
სიყვარულისა წმინდა ლამპარი;
რომ ძალი მომეც ღონე მიხდილსა,
ამაღორძინე დიდი ხნის მკვდარი.

—

გმადლობ კიდევა, რომ გამაცანი
უცხო სურვილებს, უცხო ენებსა;
ტანჯვას და ოხვრას, შფოთიერებას,
სისხლისა დულილს და თვით ცრემლებსა.
ესრე სიცოცხლე, ტურფავ, მერწმუნე
არ მომწყინდება უკუნისამდე,
კიდევაც გეტყვი: მადლობელი ვარ!
მადლობელი ვარ კუბოს კარამდე!

რ. ალისუბნელი

ვიკტორის აღზრდა

(ფიულ ნარიკისა)

საწყალი მასწავლებელი მიდის მდიდარ ბატონთან, რომელიც გაზეთებში აცხადებდა სურვილს მოეწვია მასწავლებელი თავის თორმეტის წლის შვილისათვის:

— ჩემი შვილი საკმარისად ჩამორჩა უკან,— ამბობს გრაფი.

— ჩვენ ვეცდებით შეუსრულოთ დანაკლისი, და მალეც შეუსრულებთ, თუ ყმაწვილი ნიჭიერია.

— ვითომ რატომ არ უნდა იყოს ნიჭიერი? Oითქმის წყენის ხმით ეუბნება გრაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასაკვირველია, რასაკვირველია,—მშვიდად და წყნარად უპასუხებს მასწავლებელი.

— თქვენ რა უნდა ასწავლოთ ყმაწვილს?

— მე, ბატონო, იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ რა განზრახვები გაქვთ მომავალში.

— მე არავითარი განზრახვა არა მაქვს.

— თქვენ უთუოდ გენდომებათ, რომ თქვენმა შვილმა მიიღოს მეტყველების ბაკალავრის დიპლომი?

— ჰო, მაგრამ ძალიანაც არა.

— ანუ ფილოსოფიისა?

— ეჰე, აბა ეგ რა საჭიროა? მე მინდა რომ ჩემმა შვილმა იცოდეს ის, რაც საჭიროა ცხოვრებაში გართული კაცისათვის, რომელსაც წელიწადში სამასი ათასი თუმანი შემოსავალი აქვს.

— მაგ სიმდიდრესთან, არამც თუ ფილოსოფია, ბევრი სხვა რამეც არ არის საჭირო,

— მეც ეგრე მგონია.

— ცოტა ლათინური?

— არა, ლათინური ბევრი, ძალიან ბევრი... მისი უუწმინდესობა დიდი პატივის მცემელია ჩვენი ოჯახისა.

— ისე, სუბუქად ბერძნული ენა.

— ბერძნულიც საძირკვლიან, ძალიან საძირკვლიანად... მე მყავს უშვილო ბიძა, რომელსაც გატაცებით უყვარს ეს ენა.

— ახალი ენები?

— ყველა... ბრაფინიას სურს, რომ ჩვენი შვილი საელჩოში მსახურობდეს.

— მე ვგონებ, რომ ლიტერატურა აუცილებლივ საჭირო იქნება?

— ისიც არა ერთი ხალხისა, არამედ ყველასი.

— რაც შეეხება მატემატიკას...

— ეგეც უსათუოდ; ჩვენისთანა კაცი უანგარიშო არ უნდა იყოს.

— დიახ, რასაკვირველია.

— ამასთანავე იქნება ჩემ შვილს სენ-სორის სკოლაში მოუნდეს შესვლა. ჩვენ გვარს რაღაც მიმზიდველობა აქვს ამ სკოლისადმი.

— მაშ თქვენ შვილს დასჭირდება გეომეტრიის და ალგებრის შესწავლა.

— რასაკვირველია.

— ამასთანავე არ შეიძლება საერთო ცნობებიც არის მაინც არ გადავცე ქიმიიდამ, ფიზიკიდამ, ასტრონომიიდამ?

— თქვენ დაგავიწყდათ ხატვა.

— მე ეს არის ეხლა უნდა მეთქვა.

— რაც შეეხება მუზიკას, თამაშობას, საბჭედრო ვარჯიშობებს, ესენი თქვენ არ შეგეხებათ.

— ეგ ძალიან კარგია, თორემ უნდა გაგიტუდეთ, რომ მაგ საგნებში მე თვითონ ძალიან სუსტი გახლავარ.

— ბიბლიოტიკის საქმე როგორღა იქნება!

— მე ის მხოლოდ თეორიულად მაქვს შესწავლილი.

— ეგ არა კმარა... მაგრამ არა უშავს რა; გიმნასტიკას ალარ გამოვეკიდები, რადგანაც სხვაფრივ თქვენ საჩვენო კაცი ყოფილხართ.

— ფრიად მოხარული გახლავარ, გრაფო.

— პიროობეები ხომ იცით?

— დიახ, მე იგინი თქვენმა მოურავმა გადმომცა.

— თანახმანი ხართ?

— სრულიად.

ექვსი თვის შემდეგ ბრაფი შეხვდება მასწავლებელს; ეს უკანასკნელი დაბლა უკრავს თავს.

— სათქმელი ხომ არა გაქვთ რა ჩემთან?

— დიახ, გრაფო, მინდა შემოგჩივლოთ რამე.

— მოსწავლეს ხომ არ ემდურით?

— არა, ძალიან კმაყოფილი გახლავარ; ვიკონტი საყვარელი და ნიჭიერი ყმაწვილია.

— ეგ უფრო კარგი! იქნება მსახურებს უჩივით?

— არა, ბატონო, თქვენ საუკეთესო მსახურები გყავთ.

— იქნება სადილს...

— სადილი მშვენიერია.

— სადგომი ხომ ცუდი არ არის?

— არც სადგომს დავემდურები.

— მაშ საქმე რაში მდგომარეობს?

— საქმე ჯამაგირშია, გრაფო.

— თქვენ ის გეცოტავებად?

— არა, მე ის სასაცილოდ მიმაჩნია.

— იცით რა, მამიჩემის მასწავლებელი ძალიან ღირსეულა კაცი იყო და იღებდა 400 ფრანკს; ჩემი მასწავლებელი, რომელმაც მერე მინისტრობა მიიღო, სჯერდებოდა 600 ფრანკს; თქვენ იღებთ 1200 ფრანკს და კიდევ უკმაყოფილონი ხართ?

— უკმაყოფილო კი არა, მე ვგონებ...

— ეგ ადრე უნდა მოგეფიქრათ. წინათვე რომ მეტი გეთხოვნათ, უეჭველად კიდეც მიიღებდით.

— მაშინ მე არ ვიცოდი...

— რა არ იცოდით?

— არ ვიცოდი, რომ ტონი, თქვენი ცხენის მხედენელი, ათ ჯერ მეტს ჯამაგირს იღებდა, მინამ მე, თქვენი შვილის აღმზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვგონებ, დიდი განსხვავება არის.

— მეც ეგრე მგონია... განსხვავებია იმაშია, რომ თქვენი ცხენი ბიკონტზე გონიერია და ტონი უფრო ადვილად ასწავლის თქვენ ცხენს, ვიდრე მე თქვენ შვილს.

ამ ლაპარაკის შემდეგ მასწავლებელი, რასაკვირველია, დაითხოვეს. სად და როგორ სცხოვრობდა იგი მთელი ათი წელიწადი ეს ჩვენ არ შეგვეხება. ჩვენთვის მხოლოდ ის არის საჭირო ვიცოდეთ, რომ ათის წლის შემდეგ ეს მასწავლებელი წევრად ამოირჩიეს ნაციონალურ კრებაში, რომელშიაც გრაფიც წევრად იყო.

— მე შევნიშნე, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში; თქვენ ვერც ერთხელ ვერ მიგიმხრეთ, ვერ მიგაღებინეთ ჩემი აზრები, უთხრა გრაფმა.

— მე უფრო მეტს გეტყვით, გრაფო—უპასუხა მეორე წევრმა. აზრებით ჩვენ ერთმანერთს დავშორდით ამ ათის წლის წინად.

— ბანა თქვენ ძველი პალატის წევრად იყავით? უკაცრავათ კი და მე როგორლაც არ მახსოვხართ.

— მე მადლობა ღმერთს, ძველ პალატაში არა ვყოფილვარ; მხოლოდ იმ დროს მე თქვენ სახლში ვიყავი.

— თქვენ ხუმრობთ?

— არა, მე მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავ თქვენი შვილის მასწავლებელად.

— მართლა? წამოიძახა გრაფმა. ჰო, ჰო, მართალია. ეხლა მაგონდებით. თქვენ ის საკვირველი მასწავლებელი ხართ...

— რაციონალური, გრაფ, რაციონალური!

— არა, სწორეთ საკვირველი! მე ეხლაც ამას ვამბობ. თქვენ წახვედით ჩვენგან იმიტომ...

— იმიტომ რომ ტონი, თქვენი ცხენის მხედველი ათჯერ მეტს ჯამაგირს იღებდა, მინამ მე, თქვენი შვილის აღმზრდელი.

— მგრეა, მართალია. მე კარგათ მახსოვს. და იცით რა ჩემო კარგო! მაშინაც მე მართალი ვიყავ, თქვენ კი არა! ბნებავთ დაგიმტკიცოთ?

— დიდი მადლობელი ვიქნები.

— მაშ აი რას გეტყვით: ჩემმა ცხენმა მილიონამდინ ქონება შემძინა, და იმისი ჩამომავლობა ეხლაც დიდ სარგებლობას მაძლევს. ჩემმა შვილმა კი გაფლანგა თავის დედის ქონება და 500-სი ათასი ფრანკიც ვალი წამოიდო. რას იტყვით თქვენ ამაზედ?

— ვიტყვი, რომ ახია თქვენზედ. თქვენ ცოტას ხარჯავდით შვილის აღზრდაში, იმიტომაც აი ცუდი მიმართულებისა გამოსულა.

რ. ჯაჯანაშვილი

„ბლუკუნა“

ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი.

გამოდის ყოველ-დღე, ორ-კვირაში ერთხელ

ფასი მთელის წლისა ცხრამეტი შაური და ორი გროში, სხვა გადით ხელის მოწერა არ მიიღება.

თბილისი, 29 დეკემბერს.

ბუნების შესწავლა, იგივე კაცობრიობის შესწავლა არის და კაცობრიობის შესწავლა—ბუნების შესწავლაა. ეს ასეა, რადგანაც კაცობრიობის მდგომარეობის რიგი და წესი ბუნების უტყუარს კანონზეა დაფუძნებული. დაგვიდგება გაზაფხული და კმაყოფილნი ვართ ჩვენის ბედისა, მოჰყვება ზაფხული და იმისი მწვავი სიცხეები ცოტა არ იყოს შეგვაწუხებენ,—მაგრამ აგერ შემოდგომა დადგა, ზაფხულის ცხარე მზით დასიცხულებს გრილი ნიავი მოგვბერა და გაგვაგრილა, ისევ ჩვენ ჩვენს დონეზედ დავდექით, მაგრამ ის კი დაგვავიწყდა, რომ ზამთარი გვიახლოვდება, ზამთარი თავის საშინელი სიცივეებით, თოვლით, ყინვით, — რომ „პიანიცასავით“ ცხვირს გაგვიწითლებს და დაბამბულს სამოსს მოგვანახვინებს. შეძლებთ ამ სიცივეს, უძლებთ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ ამ სიცივეს მშვენიერი გაზაფხული მოჰყვება და ჩვენს სიცივისაგან კანკალსა და ბაბანს სითბოთი დააგვირგვინებს... მართალია ეხლა ზამთარი გვიდგა, მაგრამ დამშვიდდით ბატ. უპალტოენნო, უწაღებნო—გაზეთის რეპარტიორებო, კორესპონდენტნო, ქართული თეატრის მსახიობნო და სხ., დამშვიდდით და იმ იმედით იცხოვრენით, რომ ზამთარს გაზაფხული მოსდევს...

«ჰო, მაგრამ სხვებიც რატომ ჩვენსავით სიცივით არა ბამბანებენ!»—ვიცი წამოიძახებთ და გული მოგვივათ თქვენს ნუგეშის მცემელზე, იტყვით: ალბად, ის თბილად არიო, სიცივეს წინააღმდეგ კარგად არის შეიარაღებული და იმიტომ არხეინადა ზის და ჩვენს დარიგებაშიაო». ვისი ბრალია, მერე? ვისი ბრალია, რომ მე ზამთრის წინააღმდეგ საფარად ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბამბული პალტო მაცვია, რომ შვიდი ოსმალოს ტყვია ვერ შაატანს და თქვენ კი არ იცით საით მიიღოთ თავი, რომ მსუსხავ ქარს სახე ააცილოთ? მგეც, ბატონებო, თქვენს სისულელეს და ჩვენს სიჭკვიანეს ამტკიცებს. ჩვენ ზაფხულშივე გვაქვს ნაზრუნი საზამთრო სათბილოებისთვის. თქვენ ჩვენთან უძლური ხართ (ძლიერი რომ იყოთ—პალტოები გექნებოდათ) და ამიტომ გული ბრაზით გევსებათ, გშურთ ჩვენი ბედნიერება. თქვენი გულის დასამშვიდებლად, ერთს ჩემის თვალით ნანახს არაკს მოგახსენებთ...

შეითან-ბაზარში ერთი საწყალი ბებერი მეჯღანე იყო, რომელიც მეთულუხჩეებს ჯღანებს უკერავდა ხოლმე. მოკვდა ეს მეჯღანე და იმის შვილმა მშვენიერი ბაზაზის დუქანი გააღო. ამ ბაზაზის სიკვდილის შემდეგ, იმისმა შვილმა—მეჯღანეს შვილის-შვილმა «ბანკირსკი კანტორა» გახსნა და მილიონები შეიძინა. ამ ბანკირის შვილმა—მეჯღანეს შვილის-შვილის-შვილმა სულ მიჰფლანგა მამისაგან დარჩენილი საცხოვრებელი და ულუკმა-პურად დაჰყარა ცოლ-შვილი. ამ ფლანგიას შვილი—მეჯღანეს შვილის-შვილის-შვილის-შვილი მიკიტანს მიებარა დახლიდრათ და გროშ-გროშობით ბოლოს თითონ გახსნა სამიკიტნო. ამ მიკიტნის შვილმა—მეჯღანეს შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილმა მამის ნარჩენი ფულებით ფოდრათები აიღო და ბლომა ფულები მოიგო. ამ ფოდრაჩიკის შვილმა—მეჯღანეს შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილმა სულ გაჰფლანგა მამის მოგებული ფულები და ერთად-ერთი შვილი უნუგეშოდ დასტოვა. ეს მეორე ფლანგიას შვილი—მეჯღანეს შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილის-შვილი მეწვრიმალესთან დადგა შეგირდათ... და ასე დაუსრულებლივ.

ახლა რაო? ახლა ისაო, რომ მილიონერებს რომ ფული არ დაეხარჯათ, იმათს შვილებს მეწვრიმალესთან და მიკიტანთან წასვლა არ მოუნდებოდათ. მაგრამ ესეც ბუნების წესზე გახლდათ: გაზაფხული—ზაფხული—შემოდგომა—ზამთარი—გაზაფხული---ზაფხული... და სხ.

თქვენ რომ ზაფხულშივე გეზრუნათ, ზამთარში სიცივით არ იბაბანებდით. დამიჯერეთ, ნურავისზე ნუ მოგდით გული და მოთმინებით მოელოდეთ გაზაფხულს. ეს ყველა უპატოებსა და უწალოებს გაკვეთილად გქონდეთ და მომავალშიაც აგრე ჭკუას ნუ წააგებთ...

ისმინეთ და იგულისხმეთ!

ლოთური მუსთაზადს

ლოთიანსა ლოთურობა უმტკიცებს,
მაჰმადიანს თავის რჯულის სიმტკიცე...
მე დღეს ცოტა მოუკუპრავს კახური
ბარდავასხი, თქვენი მონა, მსახური.

—

მე, ძმებოჯან, მაჰმადს არ ვემონები,
შარბათს არ ვსვამ, არ მწამს მათი მოლები,
ოც-და-ათი ცოლი, შვილი, ქალები,—
ვაზის ჩამდგმელს ნოეს ვენაცვალები.

—

ქრისტიანნო, ჩემთან ერთად ყანწები
აივსეთ და სხვებს შესძახეთ ბრანწები,
თუ არა და თავები მოიპარსეთ
ჩვენ--ქართველებს მოგვშორდით, წადით სპარსეთს.

—

ეე, მუნდრეკ, ცხვირები რას დაუშვით,
ცას შეხედეთ, ჰოპოპები აუშვით.
ვაი, ვაი! ლოთებს და მწუხარება?
უფ, იმათი სული და აღსარება...

—

მაპატიეთ, მე დღეს ცოტა ლოთურად
ბადავკარი, შემინდეთ ქართველურად;
ცუცუნებჯან, ნურც თქვენ გამებუტებით
ვუალებით, ტურნიურებით, მუფტებით!

ახალი ამბები

— როგორც გავიგეთ, «თავად-აზნაურების ბანკს» სურვილი აქვსო, არწრუნისეული თეატრის დარბაზი გაადიდოსო, რადგანაც ქართული დასი ჩივის, რომ ხალხი ბევრი მოდის და ალაგი კი არა ჰკმარითო.

—

— «თავად-აზნაურების სკოლას» გამოუცხადებია მოსწავლეთათვის, რომ მომავალს წელს ახალი—მეხუთე კლასი აღარ გაიხსნებაო. ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ, რადგანაც ორს წელიწადს ერთს კლასში ნამყოფს მოსწავლეებს უფრო კარგად ეცოდინებათ და უფრო მაგრად გაუჯდებათ ჭკუა-გონებაში მეოთხე კლასის გაკვეთილები.

—

— «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» რუსეთიდგან სხვა-და-სხვა გვარი ტიკინები დაუბარებია, რომელიც საახალწლოდ თბილისის ბავშვებს უნდა დაურიგონო: კატები, ძაღლები, მაიმუნები და სხვ. რასაკვირველია, წმინდა პედაგოგიურის აზრით ერთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრით და მეორეს მხრითაც, დროს გასატარებლად რომ საქმე ხელში ჰქონდეთო.

ეხლანდელი სიყვარული

(მოთხრობა)

ალექსანდრე ივანეს ძე ცვრიკაძეს მობეზრდა თბილისში ყოფნა და ქუთაისისკენ გაემგზავრა. მატარებელი, რომელშიაც ყმაწვილი კაცი იჯდა, იმის გარდა იმყოფებოდა ერთი ქალი. ეს იყო მომხიბლველის სიტურფისა, ნაზი ცხვირი, მარგალიტივით კბილები, კუპრივით თვალები, ალის ფერი ტუჩები, აბრეშუმივით თმები და სხვა და სხვა და სხვა... ბაკეთებული ჰქონდა ნახევარ არშინ სამ ვერშოკიანი ტიურნური, კორსეტი ძალზედ მოეჭირა და სტამბოლის მარმარილოს მგზავსს ყელზედ, ბროლის ლაბაბზედ შემოხვეული ჰქონდა ბუა (ეს ის ბუა არ გეგონოთ ჩვენს სოფლებში ყმაწვილებს რომ აშინებენ ხოლმე), რომლის ორი კუდი პატარა, კიკნა, ფლავის კოვზის ტოლა ფეფეებს ნაზად ეარშიყებოდენ და ეთამაშებოდენ... ყველა ამას დაუმატეთ ფერ-უმარილით მოთხუპ... ტფუ! კეკლუცად მოლესილი ლაწვები და დარწმუნდებით, რომ საკვირველი არ არის, თუ ცვრიკაძეს სიყვარულის ჰოპოპები აუფრინდა და აინთო, აინთო როგორც გოგირდის სპიჩკა უ-იმ მყრალ სუნოდ, რასაკვირველია. ცოტა დაფიქრების და მოაზრების შემდეგ, რომლითაც ჰამლეტურად გადაწყვიტა «სიცოცხლე თუ სიკვდილი», გადასჭრა ასჭიკ ჭიკდებოდა და აეჭიკჭიკებინა თავისი გრძნო... ჰოპოპების ამშლელი, ტვინის და ფეხების ამძგერი.

— საშინლადა ცივა! დაიწყო მან.

შავ-გვრემანმა ხმა არ გასცა.

— საკვირველია, არა ჩუმდებოდა ალექსანდრე, — თქვენს საზოგადოებაში და ასეთი სიცივე.

შავ-გვრემანი მდუმარეობდა.

— რა მოგვიდათ, დამუნჯდით, თუ რა არის? შეეხუკიანდა ცვრიკაძე (იმერელი გახლდათ).

— თავი დამანებეთ, თორემ კონდუკტორთან გიჩივლებთ! ჯორის ტლინკებივით დააყარა შავ-გვრემანმა.

— არა, მუნჯი არა ყოფილა! თითქოს გაეხარდა ცვრიკაძეს. — სრულიადაც არა ყოფილა მუნჯი!.. საამო მოლიკლიკე ენა ჰქონია! საშინლად მიყვარს მაგ-გვარი ენა... ღმერთს გეფიცებით!..

უცნობმა გაიცინა.

— და მასთან მხიარულიც! შენიშნა ყმაწვილმა კაცმა. ზარისავით წვრილი, წკრიალა, სასიამოვნო ხმა ჰქონია, ლიმილი, ერთი მისი ლიმილი მთელი სიმოთხეა; იმისი კბილები? სიცილი? ო, სიცილი, თითქოს წვიმიანის დღის შემდეგ ცა მოიწმინდაო.

— მხიარული ბრძანებულხართ! სიცილში ჩაურთო შავ-გვრემანმა.

— მხიარულზედ უმხიარულესი გახლავართ!.. დამიჯერეთ, რომ ჩემთან ვერც-კი გაიგებთ, ისე იმგზავრებთ!..

— შორს მიემგზავრებით?

— როგორ გითხრათ? შეიძლება შორსაც და ახლოსაც, მე ისეთს ადგილს ვეძებ, სადაც ორს ადამიანს ერთად უზრუნველად და მხიარულად შეეძლოთ ცხოვრება.

— არა მჯერა, მაგისთანა ადგილები არა არსებობენ. უზრუნველად და მხიარულად ცხოვრება მხოლოდ სამთ შეუძლიანთ, ამ უკანასკნელს დროს ეს ძუძუ-მწოვარა ბავშვებმაც-კი იციან...

— წავიდეთ ერთად და ჩემი სიტყვების სიმართლეს დამიმტკიცებთ.

— როგორ მიბედავთ, მოწყალეო ხელმწიფევ!

— რა ვქნა, თუ კი, მიყვარხართ, ისე მიყვარხართ, რომ გაგიჟებული ვარ თქვენგან, აღარ ვიცი რა ვქნა, სად წავიდე და როგორ მოვიქცე; თქვენთვის ყოველ-გვარს მსხვერპლზე მზადა ვარ!..

— რა ჩქარი ჰყოფილხართ!

— ასრეც უნდა! ამ პრაქტიკულს საუკუნეში არას დროს არ უნდა დიეიწყოს კაცმა მშვენიერი ინგლისური ანდაზა: „times is money“, რომელიც თარგმანში იმასა ნიშნავს, რომ დრო ფულიაო.

— მართალს ამბობთ, მაშ გულ-გახსნით გელაპარაკებით. მე ქმარს გავეყარე და მეორესთან მივდიოდი ბათუმში. მხედველობაში სხვებიც ბევრნი მყვანან, მაგრამ გამარჯვებაზე ნამდვილად დარწმუნებული არა ვარ. ნინო მქვიან სახელად, გვარის ცოდნა თქვენთვის საჭირო არ არის. დასასრულ გეტყვით, რომ მომწონხართ. ეხლა თქვენი რიგია, სთქვათ ვინა ხართ და ან რა შეძლებითა სარგებლობთ.

— მე მქვიან ალექსანდრე ივანეს ძე ცვრიკაძე, მამის ხარჯზედ ვსცხოვრებ.

— მამა-თქვენი მდიდარია.

— ჩვენთვის სამყოფი აქვს.

— ჩემი საკუთარი საჭიროებისთვის წელიწადში სამასი თუმნის მოცემა შეგიძლიანთ?

— ბრრ... მაღლა აფრინდით.

— მაშ რაღას ამბობდით, რომ თქვენთვის ყოველ-გვარს მსხვერპლზე მზადა ვარო?

— სულ ერთია, თქვენ ხომ მაინც არ დაიჯერეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ორასზე ხართ თანახმა?
— არა.
— მაშ თქვენი უკანასკნელი სიტყვა რა არის? საჩქაროდ გამოიკითხა ნინომ.
— ასი თუმანი და არც ერთი გროშში მეტი.
— არც ძალიან იჭვიანებთ?
— არა.
— მაშ ეგრე, ას ორმოც-და-ათი თუმანი იყოს.
— არ შემიძლიან.
მატარებელი გაჩერდა. Ცვრივაძეს წასვლა უნდოდა.
— ძარგია, თანახმა ვარ.
Ისინი პლატფორმაზე გადმოვიდენ და ცოტა მოლაპარაკების შემდეგ ქუთაისში წასვლა მეტად ჩასთვალეს და ისევ თბილისში დაბრუნდენ.

ს—ხ!

ჩვენებური ამბები

—

◆ გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ა. მოჩხუბარიძის მოთხრობა „მოძღვარი“. წიგნი სუფთად არის გამოცემული, მაგრამ ფასი—1 მანეთი წიგნის შესაფერად მეტად დიდია დანიშნული.

—

◆ გამოვიდა ახალი გამოცემა „ძაჯანა“ ნ. ლომაურისა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ფასი სამი შაური

—

◆ ბორიდამა გვწერენ, რომ იქ ამ დღესასწაულებში საქალებო გიმნაზიის სასარგებლოდ ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას აპირებენო.

ნარევი

ხალხური ლექსები

(ქართლში შეკრებილი სოსიკოსგან)

Თვალი მიგიგავს მაყვალსა,
წამწამი ვარდის წალამსა,
Თუ რომ ვიშოვნი შენს თავსა,
Ყვინს არ მივსცემ სალამსა.

—

Დიდმა ლიახვმა-პატარას
შერთოლს გადახვია ხელი:
„Ბორამდინ ერთად ვიაროთ,
შენ ძმობილი იყავ ჩემი,
შენ შამფური წამოიღე,
მე სამწვადე მომაქვს ბევრი;
სამი ქართველი დავახრჩვე,
ახლა სომხებს მივჰყავ ხელი.

—

Არ ვიცოდი, მზეო, შენი
ნახვა დაგვიძვირდებოდა
და მოყვარე ყველა ერთად
ასე აგვიტირდებოდა.

—

Სად მოიცალა ი ღმერთმა
შენი თვალ-წარბის წერათა,
ან რით შეგამკო ეგეთი,
ან რათ დასწერა ხელათა?

—

Ყველა ბროლი-მარგალიტი
ალმასიდგან გაითლება,
შე ლაჩარო, ჩემო მტერო,
შენთან ომი რა იქნება?
მე რომ მინდორზედ გამოვალ,
ბული მაშინ გაიშლება,
შევარდნულათ შემოგიტევ,
სული შიშით გაგიფთხება.

—

Ბოგო, მაგ შენსა სიყვარულს
შემომითვალე, რა უყო,
წამოვიკიდო საბლითა?
რომ ვერ ვატარო, რა უყო?

—

Მთასა თოვლი უთოვლია,
ბარსა დაუბარებია;
ძალო, დედას შენი თავი
ჩემთვის ჩაუბარებია.

—

Ვაკაცსა გული რკინისა,
ხანჯალი თუნდა ხისაო;
მტრებსა უწყვეტდეს სინსილას,
მოყვრებს უწევდეს ლხინსაო.

—

Ეჰე! სესია, სესია,
ხმალი ვერ გაგილესია;
შენ ეგრე მყუდროთ წამოდი,
მე ჭალა-ჭულა ტყეშია.
მტრის ბელადს წამოვეწიე
იმ ჭალა ეკლიანშია,
დაუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ძარჯენივ ბეჭშია.

—

Ამილახვრიანთ ბიჭს გევხარ,
შენ ქალაჩუნა ფხვენელო,
მტერს ვერ დაუხვდი გულადათ,
შენ გვარის შემარცხვენელო.

—

Ამ ბატონიანთ ყმობითა,
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა.
ვერცა ვხან, ვერცა მოვთესე,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

რედაქტორი და გამომცემელი ვ. ბაშეიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

სამშაბათს, 10-ს დეკემბერს

თბილისის კრუშოვის დარბაზში

გამართული იქნება:

სატანური სალამო

თბილისის ცისის და ტუსაღების სახეირგებლად

ფასი მანდილოსანთათვის — — — 1 მან.
და კაცებისათვის — — — — — 2 მან.
ხიბარზედ — — — — — — 3 მან.

ბილეთები ისყიდება: ცხის კომიტეტის კანცელარიაში, ერევნის მოედანზედ, ტერ-ასატუროვის სახლში, ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში და თვით კრუშოკში.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1886 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ АРМЯНСКІЙ ЖУРНАЛЪ

„АГБЮРЪ“

(4-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ)
(ВЪ ГОДЪ 12 НОМЕРОВЪ)

ПРОГРАММА

Отдѣлъ 1-й

I Повѣсти, разсказы, сказки, путешест., біографіи, поэмы, эпизоды.
II Стихотворенія.
III Наука и искуство.
IV Смѣсь.
V Мелочи.
VI Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загатки, поговорки, пословицы.
VII Пѣсни съ нотами.

Отдѣлъ 2-й

VIII Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей.
IX Проэкты и совѣты.
X Библіографія.
XI Смѣсь.
XII Отвѣты и объявленія.

Второй отдѣлъ будетъ издаваться отдѣльно въ годъ четыре раза. Годовые подписчики получаютъ двѣ преміи: въ іюлѣ и въ декабрѣ; а подписавшіеся до 1-го декабря съ январскимъ номеромъ получаютъ третью безплатную премію.

Первая премія: **Совѣщательная палата** въ столицѣ Ани при царяхъ Армянскихъ изъ династіи Багратуни. Размѣръ картины одинъ аршинъ. Вторая премія: **Карта Арменіи.** Третья премія: **„Храма Пастуха“** въ столицѣ Ани. Размѣръ картины полтора аршина.

Годовая цѣна „АГБЮРА“ 3 рубля, за полгода 2 рубля, Отдѣльные номера 50 коп.

Адресъ: **Тифлисъ, Редакція „АБГЮРЪ“; а изъ заграницы:** Tiflis (Caucase) Rédaction du journal „Agbur“.

Редакотръ-издатель **Т. Я. Казаріанъ.**

(3—1).

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ,
ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕН. ГУБЕРНАТОРА
КАРСКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

НА БУДУЩІЙ 1886 ГОДЪ.

газета „КАРСЪ“ въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, подъ тою же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „КАРСЪ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ; а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

სტამბა

ვრ. ხარგვიანის

იღებს ყოველ სასტამბო საქმეებს დასაბეჭდათ

თბილისი დორის-მეღიქ. ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, სემინარიის პირ-და-პირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ՄՇԱԿ“

ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ԵՒ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԼՐԱԳԻՐ

ԱՐԱՋԻԿԱՅ 1886 ԹՒԻՑ

Կը հրատարակվի Թիֆլիսում նոյն պրոգրամայով: „ՄՇԱԿԻ“ տարեկան գինը 10 բուբլ է, վեց ամսականը 6 բուբլ:

Գրվել „ՄՇԱԿԻՆ“ կարելի է ԽՄԲԱԳՐԱՏԱՆԸ եւ Պ. ՇԱՎԵՐԴՈՎԻ պավիլիոնում: Խնագրատունը գտնվում Բարոնսկի եւ Բազարնի փողոցի անկիւնում, Թումանիշվի տանը, № 12 բնակարանում: Ուղղակի մուտքը Բազարնի փողոցից:

Խմբագրատունը բաց է ԱՄԵՆ ՕՐ առաւօտեան 10—2 ժամ, իսկ ԿԻՐԱԿԻ օրերը 10—12 ժամ:

Կայսերութեան ուրիշ քաղաքներից դիմումեն այս հասցէով, Въ Тифлисъ, Редакція „МШАКЪ“.

Խմբագիր-հրատարակող ԳՐԻԳՈՐ ԱՐԾՐՈՒՆԻ

ОБРАЗОВАННАЯ особа (иностранка, нѣмка), пріѣхавшая изъ Москвы, желаетъ получить мѣсто къ дѣтямъ или быть компаньонкою: Михайловская улица, Петербургскіе номера, № 4.

ქართული თეატრი

18 85

ოთხშაბათს, 11 დეკემბერს

ბენეფისი

ვ. ს. ალექსეევი-მესხიევისა

წარმოდგენილი იქნება:

I

ბაგრატ IV

(მეფე იმერეთისა)

ისტორიული დრამა 4 მოქმედ., კ. მესხისა

II

მეჯლიში იტალიელებით

ოპერეტკა 1 მოქმედ., მუზ. ოფენბახისა

III

დივერტისმენტი

სსვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ოპერის არტისტი ბ. რატტიღი.

ადგილების ფასი საბენეფისო

ბილეთების ყიდვა ამ თვითვე შეიძლება თეატრის კასაში, ინტრაკტებში და უკრავს ორკესტრი ბატ. მარტორატის თაოსნობით.

დასაწყისი 8 საათზე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ изданія).

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по прежной программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

	съ доставкою въ Тифлисѣ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ по Имперіи	по почтовому союзу
На годъ	11 р. 50 к.	13 р.	18 р. 40 к.
„ полгода.	6 р. — „	7 р.	10 р. — „
„ 3 мѣсяца.	3 р. 50 „	4 р.	6 р. — „
„ 1 мѣсяцъ.	р. 50 к.	2 р.	1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы. домъ Ротинова. Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“

ახალი წიგნი



თარგმნილი ივ. მ—ანასგან.

ფასი სამი შაური

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 7 декабря. Типографія Гр. Чарквіани. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ,

ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕН. ГУБЕРНАТОРА

КАРСКОЙ ОБЛАСТИ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

НА БУДУЩІЙ 1886 ГОДЪ.

газета „КАРСЪ“ въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году. подъ тою-же редакціею.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкою и пересылкою. въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль

Подписка принимается въ Канцеляріи военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „КАРСЪ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ осществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, такъ о нынѣшнемъ ея состояній, какъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ; а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи. (3—3)

Открыта Подписка

НА 1886 ГОДЪ

На армянскую ежедневную политико-литературную газету

„НОРЪ-ДАРЪ“

III-й ГОДЪ ИЗДАНІЯ

Газета 1886 году будетъ выходить по прежней программѣ. **Подписная цѣна** съ доставкою и пересылкою: на годъ 10 р., на 6 мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 к., на 1 мѣсяцъ 1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскіи) принимаются исключительно въ конторѣ редакціи „НОРЪ-ДАРЪ“

Редакція „НОРЪ-ДАРЪ“ помѣщается за почтою на Троицкой улицѣ, противъ Троицкой церкви, д. № 9.

Иногородные адресуются: Тифлисъ, въ редакцію „НОРЪ-ДАРЪ“.

Редакторъ-Издатель **С. Спандарьянъ**.

(3—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1886 ГОДЪ

НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ АРМЯНСКІИ ЖУРНАЛЪ

„АГЕЮРЪ“

(4-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ)

(въ годъ 12 номеровъ)

ПРОГРАММА

Отдѣлъ 1-й

I Повѣсти, разсказы, сказки, путешест., біографіи, поэмы, эпизоды.
II Сихотворенія.
III Наука и искуство.
IV Смѣсь.
V Мелочи.
VI Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загатки, поговорки, пословицы.
VII Пѣсни съ нотами.

Отдѣлъ 2-й

VIII Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей
IX Проэкты и совѣты.
X Библіографія.
XI Смѣсь
XII Отвѣты и объявленія

Второй отѣлъ будетъ издаваться отдѣльно въ годъ, четыре раза; годовые подписчики получаютъ двѣ преміи: въ іюлѣ и въ декабрѣ; а подписавшіеся до 1-го декабря съ январскимъ номеромъ получаютъ третью безплатную премію

Первая премія: **Совѣщательная палата** въ столицѣ Ани при царяхъ Армянскихъ изъ династіи Багратуни. Размѣръ картини одинъ аршинъ. Вторая премія: **Карта Арменіи.** Третья премія: **„Храма Пастуха“** въ столицѣ Ани. Размѣръ картины полтара аршина

ეროვნული ბიბლიოთეკა

Годовая цѣна „АГБЮРА“ 3 рубля, за полгода 2 руб., отдѣльные номера 50 коп.
Адресъ: Тифлисъ, Редкація „АБГЮРЪ“ а изъ заграницы.
Tifflis (Caucase) Rédaction du journal „Agbur“
Редакторъ-издатель Г. Я. Казаріанъ.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა

ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა

თხზ. თ. აკ. წერეთლისა

ოქროს ცხვირი

ჩადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდვე ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათი შაური

სტამბა

მელიქიშვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., არწრუნისეულ ქარვასლაში, ქართული თეატრის ქვემო სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს სიბეჭდავსთ: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვიტანციებს, სხოტებს, განცხადებებს, ეთიშებს, ეტიკეტებს და სხვ.

სისუფთავეზე და ადნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა ვირობას აძლევს საქმის მოამტანთ.

სტამბა კისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უმეტეს ზაკაზის მოამტანი ისურვებენ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ТАЗЕТУ

„КАВКАЗЪ“

на 1886 годъ (41-й годъ изданія)

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ„ будетъ выходить по прежной программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

	съ доставкою въ Тифлисѣ.	СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ по Имперій	по почтовому союзу
На годъ	11 р. 50 к.	13 р.	18 р. 40 к.
„ полугода.	6 р. — „	7 р.	10 р. — „
„ 3 мѣсяца.	3 р. 50 „	4 р.	6 р. — „
„ 1 мѣсяцъ.	р. 50 к	2 р.	1 р. — „

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы. Домъ Ротинова. *Для иногор. адресовать*: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“.

ნამდვილის კახურას ღვინის მოუკრეფავთვის!

სარდაფი კახურის ღვინების თავად ზაქარია რევაზის ძე

მაყაშვილისა

აქვს პატივი აუწყოს თბილისის საზოგადოებას, რომ 1886 წლის, იანვრის 1-ლიდგან გახსნის სარდაფს მიხაილოვის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ, ნარიმანოვის სახლში, № 20/9.

(3—1)

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 28 декабря. Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.

თბილისი